ავტობიოგრაფია

მე, სოფიო კახაძე, დავიბადე 1966 წლის 26 დეკემბერს ქალაქ ბათუმში. 1984 წელს დავამთავრე ქალაქ ბათუმის მე-6 საშუალო სკოლა.

1992-1997 წლებში ვსწავლობდი ბათუმის დამოუკიდებელ ჰუმანიტარულ ინსტიტუტში (ხელოვნებათმცოდნე, თეატრმცოდნე), 1999 – 2002 წლებში - ვსწავლობდი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში კინო-ტელე სარეჟისორო ფაკულტეტზე .

1993-94 წლებში ვმუშაობდი ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტში ჟურნალისტიკის კათედრაზე ლაბორანტად.

2003-2004 წლებში ვმუშაობდი თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ მანანა ანასაშვილის ასისტენტად.

2004 წელს (01.07.2004 - 01.10.2004) ვმუშაობდი აჭარის ტელევიზიაში საინფორმაციო პროგრამის ჟურნალისტად.

2015-2016 წლებში ვმუშაობდი ბათუმის კულტურის ცენტრში ადმინისტრაციის სამსახურის უფროსად.

2016-2021 წლებში ვმუშაობდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კომისიის მდივნად.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში საქართველოს ცენტრალური კომისიის მიერ არჩეული ვიყავი დროებითი კომისიის წევრად ბათუმის 79-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში.

2021 წლიდან ვარ ცესკოს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საარჩევნო ტრენინგის ტრენერი.

2022-2025 წლებში ვმუშაობდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში კულტურის დეპარტამენტის შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით.

2025 წლის პირველი მარტიდან დღემდე ვმუშაობ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერის განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით.

2024 წ. ცესკოს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომენიჭა პროფილურ მიმართულებაზე „საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით კენჭისყრის დღის პროცედურები და საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებები“ ტრენერის სტატუსი.

დაუოჯახებელი.

სოფიო კახაძე

04.08. 2025წელი